

მწეველი



მწეველს მან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 15

1883—1908 წ.

15 აგვისტო

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განმარტება: თავისუფლება ქრისტიანისა, მღვდლის იოან. ლუკიანოვისა.—იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო, დამწერსი.—პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი.—წიგნთსაცავები ამერიკის შეერთებულ შტატებში.—ჭურნალ გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცენიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე:—წიგნი ლევიტელთა.—რედაქციის პასუხი.



თავისუფლება ქრისტიანისა.

(თარგმანი)

ყო დრო, როდესაც ხალხი სცხოვრებდა ცოდვების მონობაში და უღმრთოობის სიბნელეში. ძნელი და უნუგეშო იყო მაშინ ცხოვრება ადამიანისა; მწუხარებით ჩადიოდა იგი ბნელ სამარეში, რომლის იქითაც სრულებით არ მოელოდა იგი ნეტარებას.

კურთხეულ არს სახელი უფლისა! დამემ გაიარა, დღე დადგა, დაულამებელი დღე ქრისტეს სამეუფოსი. ქრისტე მაცხოვარმა გამოგვიხსნა ჩვენ თავის სიკვდილით ცოდვის მონობისაგან; იმან მოგვცა ჩვენ შეძლება ვუწოდოთ ღმერთს ჩვენ მამად; იმან გამოგვიცხადა ჩვენ, რომ ღმერთი არის მთლად სიყვარული. ქრისტე მაცხოვარმა მოგვცა ჩვენ ახალი მცნება—ერთმანეთის სიყვარულისა. მისი სწავლის თანახმად, ჩვენში არ უნდა იყვეს გარჩევა არც ელლინისა, არც იუდეელისა, არც მონათა, არც უფალთა; ჩვენ ყველანი ძმები ვართ. ამაზე მალალი და წმინდა სწავლა განა კიდევ შეიძლება? რომელი ახალი და თავისუფალი ცხოვრება იქნება ქრისტიანობრივ ცხოვრებაზე უკეთესი? ჩვენ ყელას ზეცას გვყავს მოსიყვარულე მამა, ჩვენს

გარშემო—მოსიყვარულე ძმები; საფლავიც-კი უნუგეშო არ არის იმისათვის, ვისაც სიყვარული აქვს; რა უდიდესი ბედნიერებაა ქრისტიანად ყოფნა. რომელი ცხოვრება სჯობიან ცხოვრებას ქრისტეს მიერ? ამაზე უკეთესი ცხოვრება არ შეიძლება. მხოლოდ ქრისტე არის გზა, ქვეშარიტება და ცხოვრება! უიმისოდ არავის შეუძლიან მისვლა ღმერთთან, სიკეთესთან! მხოლოდ მარტო ქრისტე არის კარი, რომლიდანაც შეიძლება შესვლა ღვთის სასუფეველში, სამეუფოში სიკეთისა, სინათლისა და თავისუფლობისა! მხოლოდ ქრისტეს მიერ არის ცხოვრება ქვეყნისა; სხვა სახელი არ მოიპოვება, რომლითაც შეიძლებოდეს ცხოვრება, გარდა სახელისა იესო ქრისტესი! არც-ერთი სწავლა-მოძღვრება არ შეიძლება იდგეს მალა ქრისტეს სწავლა-მოძღვრებაზე. ცა და დედა-მიწა გაივლის, მაგრამ ქრისტეს ღვთაებრივ სწავლიდან-კი ერთი იოტაც არ გაივლის და არ დაფარდება.


მიუხედავად ამისა მაინც ამბობენ, ქრისტეს სწავლამ არ მოუტანა ხალხის ცხოვრებას სიკეთეო. ამის თქმა დიდი უსამართლობა იქნება: ჯერ ერთი, განა ხალხი სცხოვრობს სრულიად ქრისტეს სწავლის თანახმად? ხოლო რა საუცხოვო მშვენიერია იმ ხალხის ცხოვრება, რომელიც აღიარებს ქრისტეს მთელის თავის სიკოცხლით! წიგნი საქმე წმინდა-კ. ბარუსის სახ. სხობაშვილი რ.

თა მოციქულთა“ მოგვითხრობს მაშინდელ დროის ქრისტიანების ცხოვრებაზე. ბევრს იმათგანს ჰქონდა ერთი გული და გონება; თავის ქონებიდან არავის არ მიაჩნდათ თავისად არაფერი, არამედ ყოველივე საერთო ჰქონდათ. არავინ არ იყო იმათში გაჭირვებული, იმისთვის რომ რომელითაც მიწა ან სახლ-კარი ჰქონდათ, ამეებს ჰყიდდნენ და მათი ნაფასური მოჰქონდათ მოციქულებთან; აქედგან მიეცემოდა ყველას, ვისაც უჭირდა. აი ამნაირად შეეძლოთ წმინდა ცხოვრების მოწყობა ქვეყნად ქრისტეს მიმართ სარწმუნოებას და ქრისტიანობრივ სიყვარულს! მხოლოდ ქრისტიანობრივ სიყვარულს, და არა სხვა რამეს, შეუძლიან გააბედნიეროს ხალხი ამ ქვეყნადაც.

სიმაართლე სიყვარულისა, სიმაართლე ქრისტესი მარადის ცხოველია, ყოველთვის შეუღარებელივ მალა სდგას ადამიანის როველივე სიმაართლეზე. მაშ ამაზე უკეთესი რაღა იქნება ხალხისათვის, რომ იმან ქრისტეს სიმაართლეზე იცხოვროს? თუ ხალხი მოაწყობს თავის ცხოვრებას და განვითარებას ქრისტეს სიმაართლის თანახმად, მაშინ იმან ბევრი, ძალიან ბევრი რამე უნდა გამოიცივალოს თავის ცხოვრებაში, წეს-წყობილებში, თავის კანონებში. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, იმისთანა გამოცვლაა საჭირო და სასურველი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას ღმერთს დაუახლოვებს და რომელიც დაამყარებს ქვეყანაზედ ღვთის სასუფეველს. მხოლოდ უფლის მცნების თანახმად უნდა შეიცვალოს ცხოვრება, და აი მაშინ კურთხევა უფლისა და აღდგრება ჩვენს განახლებულ ცხოვრებაში.

თუ გამოცვლა ჩვენის ცხოვრებისა არ მოხდება ღვთის სასუფეველის გასაძლიერებლად, მაშინ ჩვენ განახლებულ ცხოვრებაზე არ გადმოვა კურთხევა ღვთისა და ის ცხოვრება არ მისცემს ხალხს სიკეთეს. რითიც უნდა შეჰკრან ცხოვრება, რანაირი კანონებიც უნდა გამოსცენ, — მაინც არაფერი არ შეაერთებს ხალხს, ცხოვრება მაინც დაშლის გზაზე იდგომება. ხალხის ცხოვრების მოწყობა მარტოდენ კაცის სიმაართლეზე, ღვთის სიმაართლის დავიწყებით, სიყვარულის დავიწყებით, — ემგვანება ჭვიშაზე სახლის აშენებას. ამოვარდება ქარი თვითნებობისა, ანგარებისა, გრიგალი ბოროტებისა და სიძულვილისა, მღელვარება ვნებათა, — მაშინ შენობა ცხოვრებისა დაინგრევა და მოხდება ღიღად

უბედურება. თუ ადამიანის ცხოვრება არ არის მოწყობილი ქრისტიანობრივი სარწმუნოების და სიყვარულის თანახმად, იგი არ იქნება მტკიცე და საიმედო. კანონებსა და საზოგადო დაწესებულებებს მარტოდ არ შეუძლიან გახადონ ცხოვრება საიმედოდ და უნაკლოდ. მართლაცა და რა არის ყველა ეს კანონები, ყველა ეს დაწესებულებანი? რა არის, თუ არა წამალი დავადებულის ცხოვრებისა? რა არის, თუ არა საკერებელი დაძველებული, დაგლეჯილი ცხოვრებისა? და განა ჩვენ დაუძახებთ ჯანმრთელად იმ კაცს, რომლის სიცოცხლეც მხოლოდ წამლებით სულიერდება? განა დაუძახებთ მაგარს იმ ტანისამოს, რომელიც მთლად საკერებლებით არის დაკერებული? — არა, ჯანმრთელს დაუძახებთ ჩვენ მხოლოდ ისეთ კაცს, რომელსაც თავის-თავად აქვს ძალღონე და ჯანის სიმრთელე. ხოლო საზოგადოდ ხალხისათვის ასეთ ძალღონეს და ჯანის სიმრთელეს შეადგენს ქრისტიანობრივი სარწმუნოება და სიყვარული. ის საზოგადოება, რომელიც უსარწმუნოებოდ და უსიყვარულოდ სცხოვრობს, — განა ავადმყოფი არ არის? — ის ავადმყოფია, რანაირი კანონები და დაწესებულებანიც უნდა ჰქონდეს; ის ავადმყოფია, რამდენიც უნდა წამალი ახმარონ, რამდენიც უნდა საკერებლები გამოუცვალონ. ის ავადმყოფია და ავადმყოფათვე დარჩება, სანამ არ განიკურნება ქრისტიანობრივი სარწმუნოებით და სიყვარულით. უსარწმუნოებოდ და უსიყვარულოთ არც ერთი საზოგადოება არ იქნება ძლიერი და ჯანმრთელი. ამისთვის ხალხი ნუ დაემყარება მარტო თავის სიმაართლეს, მარტო კანონების და დაწესებულებათა გამოცვლაზე. მომეტებული იმედი უნდა ვიქონიოთ ღმერთზე და ღვთის სიმაართლეზე. ჩვენ სულსა და გულში უნდა ავანთოთ ცეცხლი სარწმუნოების და სიყვარულის. მხოლოდ სარწმუნოებისა და სიყვარულის მქონებელთ ახალი დაწესებულებანი და ახალი კანონები მოუტანენ სიკეთეს. მხოლოდ მაშინ თავისუფალი კანონები და თავისუფალი დაწესებულებანი ემსახურებიან ნამდვილად თავისუფლებას. მაგრამ თუ ხალხს არ ექნება სარწმუნოება და სიყვარული, თუ ხალხი შიგნეულად არ განახლდება, მაშინ თავისუფლება ძალ-მომრეობად გადაიქცევა, მაშინ ცხოვრება უფრო მომეტებულად გაფუჭდება და უფრო ძნლი ასატანი გახდება.



ქრისტიანებო! ჩვენ განგვათავისუფლა ქრისტემ. იმან ყველაფერს სძლია, თვით სიკვდილსაც. მაშ ვიღას შეუძლიან ჩვენი ჯობნა? ჩვენ გვაქვს უფლება ღვთის შვილებად წოდებისა. ვინ-ღა დაიმონავებს ღვთის შვილებს? ჩვენა გვაქვს უფლება უფროსობისა, თავისუფლობა ღვთის შვილობისა. რა უგუნურად იქცევიან ისინი, რომლებიც უარს ამბობენ ამ უფროსობაზე? ისინი, რომლებიც ძველად ესავის მსგავსად საქმელზე სცვლიან თავის პირმოშობას. ასეთი ხალხი ამობს, რომ ქრისტეს სარწმუნოებამ არამც თუ არ მოგვცა სიკეთე, არამედ არც შეუძლიან მოგვცესო; ამბობს, პირიქით, ქრისტეს სწავლა ხელს უშლის ხალხის კეთილდღეობასაო. ნუთუ იმათ ღმერთი არა სწამთ და არ ეშინიანთ მისი? მაგრამ ასეთებს არამც თუ არა სწამთ ღმერთი, არ უყვართ ქრისტე, არამედ კიდევაც სძულთ იგი. რანაირის უგუნური სიტყვებით შეურაცხყოფენ ისინა მის ყოვლადწმინდა სახელს! მრისხანეთ ამბობს ასეთ ხალხზე საღმრთო წერილი. „რომელმან უარჰყოს, ვითარმედ იესო არს ქრისტე, ესე არს ანტიქრისტე“ (ა. კათალიკე იოანესი, 2,22). ხოლო წმ. პავლე მოციქული ამბობს: „რომელსა არა უყვარდეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, იყავნ შეჩვენებული მარანათა“ (ა. კორინთელთა 16,22). თუ კი ესეა, მაშ ზოგიერთ ქრისტიანებს რათ მიაჩნიათ თავისი თავი მოწინაურებად, განმათავისუფლებლბათ ისეთი კაცები, რომელთაც არა სწამთ ღმერთი და არ უყვართ უფალი იესო ქრისტე? წმინდა ეკლესია ჩვენი ამისთანა კაცებს განაყენებს თავისგან. მაშ ეკლესიის შვილნი რაღათ ირჩევენ ეკლესიიდან განაყენებულთ თავის მასწავლებლებად და დამრიგებლებად?

მაგრამ, იტყვიან, ნუთუ ურწმუნო ხალხის სწავლაში არ არის არავითარი სიკეთე? — სიკეთე არის, მაგრამ არა ქრისტიანისათვის. ვარსკვლავებიც ხომ ანათებენ, მაგრამ განა ჩვენ ვხედავთ იმათ სინათლეს როცა ცაზე მზე ანათებს? ქრისტიანებისათვის, როგორც მზე ცაზე, ისე ანათებს სწავლა ქრისტესი, და ამ სწავლის სინათლესთან აღარ შეიძლება შემჩნევა ძლივს მბეუტავი კაცობრიული სწავლისა. ვარსკვლავები სჩანან მხოლოდ ღამით. აგრეთვე, მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც ისევ სიბნელეში სცხოვრობს, რომელსაც კიდევ დაბნელებული აქვს გონება, რომელსაც ჯერ კი

ღვე არ გაუხელია სულიერი თვალები, — მხოლოდ ის ხედავს კაცობრიული სწავლის სინათლეს, მხოლოდ იმას მიაჩნია ეს სინათლე საკმაოდ და მხოლოდ ის შესტრფიალებს ამ სინათლეს. საბრალო, ის ხედავს მხოლოდ ვარსკვლავებს, როდესაც ქრისტიანებისათვის ანათებს საუცხოვო მზე!

მაგრამ იქნება გვიჩვენებენ ჩვენ გზას სიკეთისაკენ ისინი, ვისაც ღმერთი არა სწამთ და ქრისტე მაცხოვარი არ უყვართ? — ამაზე უნდა ვთქვათ, განა საკმაოდ არ გვაჩვენეს იმათ, რა გზითაც მიდიან ისინი? ბევრი ცრემლებია საქირო, რომ კაცმა დაიტოროს ეს გზები.

ძმაო — ქრისტიანო! ამ ცოტა ხნის წინად ჩვენს ცხოვრების ზღვაზე იყო სასტიკი მღელვარება. ეს მღელვარება ჯერაც სრულებით არ დამცხრალა. საშიშია ცურვა ამ მღელვარე ზღვაზე პატარა ნავით. არის დიდი გემი — ეს ქრისტეს ეკლესიაა. ამ გემისთვის არ არის საშიში არავითარი ტალღები, არავითარი ღელვა, იმიტომ რომ ამ გემის მმართველი თითონ ქრისტეა, რომელსაც შეუძლიან უბრძანოს ქარს: ჩადექი! და ზღვას — დასტხეი! ქარიც და ზღვაც გაუგონებენ მას. ამისთანა გემის მმართველთან ცურვა საშიში არ არის; და იმიტომ ვისაც-კი უნდა გადარჩენა დაღუპვისაგან, შედი საეკლესიო გემში; მაგრად მოეკიდე და მტკიცედ შეინახე ეკლესიის სწავლა და კანონები. გეშინოდეს ეკლესიის გემიდან გარედ გამოსვლისა, თორემ ვაი თუ ზღვაში ჩავარდე და დაიღუპო მღელვარე ზღვის უფსკრულში. ან კი რად გინდა გამოსვლა ეკლესიიდან? „რათ გინდა სხვებთან ქეშმარიტების ძებნა, რომელსაც აღვიღად ჰპოებ ეკლესიაში. აქ, როგორც მდიდარ სასაუნჯეში, მოციქულებმა შეიტანეს ყოველივე, რაც კი შეეხება ქეშმარიტებას; ასე რომ, ვისაც უნდა, შეუძლიან მიიღოს იქიდან სასველი ცხოვრებისა. იგი არის კარი ცხოვრებისა.“ (წმ. ირინეი ლიონელი).

„მითხრეს მე უსჯულოთა ზრახვა, არამედ არა იყო ვითარ სჯული შენი უფალო“ (ფსალმ. 118,85). უფლისა მიმართ აღვიხილოთ ჩვენ სულიერნი და ხორციელნი თვალნი; უფლისა მიმართ აღვაპყროთ ჩვენი განარღვეული ხელები; უფლისა მიმართ გულის სიღრმიდან აღმოვსთქვათ: „უფალო! ვისთან წავიდეთ ჩვენ? — შენ, და მხოლოდ შენ, გაქვს სიტყვანი საუკუნო ცხოვრებისა! მხოლოდ შენ სინათლეში, უფალო, ვიხილოთ ჩვენ ნათელი“!..

მღვ. იოანე ლუკიანოვი.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლო- ბის დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო.*)



ველაზე საყურადღებო საგანი სამღვდლოებისათვის არის სანთლის ქარხანა და სანთლის წარმოების საქმე. სანთლის ქარხნის და სანთლის წარმოების საქმის მდგომარეობის გამოკვლევა წინანდელ კრებაზე სამღვდლოების დეპუტატებმა მიანდვეს დეკანოზ დავით ღამბაშიძეს, მღვდელს დ. ჩხაიძეს და მღვდელს ი. ბერაძეს. ამათ შეიმუშავეს ჩვენი სანთლის წარმოების საქმე დასაწყისიდან და წარუდგინეს კრებას. კომიტეტის მოკლე მოხსენება კრებისა, ცოტა ვრცად რომ მოვიყვანოთ აქ, არის შემდეგი: იმერეთის ეპარქიაში სანთლის წარმოების საქმე სამ ხანად განიყოფება. წინაპირველად სანთლის ვაჭრობის საქმე ჩვენში უბრალოდ იყო დაყენებული. სანთლის ქარხნის წარმოების საქმე სინოდალნი კანტორის და მისი პროკურორის ხელში იყო ყიდდნენ ფუტს ორმოც მანეთად, სანთლის გამყიდვასაც იგინი აძლევდნენ ჯამაგირს. სხვა დანარჩენი სარგებლობა ფუტობით გაყიდული სანთლისა პროკურორს და კანტორას მიჰქონდა ორმოც მანეთზე მეტს რასაც მოიგებდნენ სანთლის გამყიდველები ყ-დ სამღვდლოს წარუდგენდნენ და ისინი თვითონ შეხედულებასამებრ ხარჯავდნენ ზოგს სასწავლებლებზე და ზოგს ჯილდოთ აძლევდნენ ზოგიერთ პირებს. ეს უკანონო წარმოება სანთლის საქმისა მოსპო ექსარხოსმა იონნიკემ, ჩამოართვა პროკურორს და კანტორას ვაჭრობა სანთლისა და სამღვდლოებას მიანდო; თვითონ თავში დაუდგა ამ საქმეს და ხელს უწყობდა. სანთლის მართვა-გამგეობა გადვიდა ქართლ-კახეთის ეპარქიაში სამღვდლოებაზე, მაგრამ ჩვენში არა ეშველარა, იმერეთის და მინგრელიის ეპარქიებში მღვდელთ-მთავრებს მიანდვეს რომ თავის შეხედულებით ეწარმოებიათ ეს საქმე. სანთლის ვაჭრობის საქმეში მღვდელთ-მთავრებსაც, რასაკვირველია, უნდა მიეზამნათ იონნიკეს მოქმედებისთვის, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო იმ დროში. იმერეთის ეპარქიაში ბევრჯერ აღიძრა კითხვა, რომ

სამღვდლოებას გადაცემოდა ეს საქმე, მაგრამ ყ-დ სამღვდლო გაბრიელი არას გზით არ დასთანხმდა ამას.

სანთლის წარმოების საქმე დიდათ სასარგებლო იყო ქალაქის „დიდებულ“ სამღვდლოებისა და სასულიერო წოდებაში საერო მოსამსახურე პირთათვის და ამისათვის ისე ძნელი იყო ამ უფლების ჩამორთმევა, როგორც სპარსეთში კონსტიტუციის შემოღება. ერთხელ სამღვდლოების კრებამ დაადგინა, რომ სანთლის საქმის გამგის კანტროლერად ყოფილიყო დეკ. დავით ღამბაშიძე. ამ დროს სანთლის ვაჭრობისაგან შემოდიოდა ორი ათას ხუთასი მანეთი, ეს იწყინა ეპისკოპოსმა გამბრიელმა და ჟურნალი არ დაამტკიცა.

მოხდა ფულების გაცარცვა ქარხანაში არა ერთ გზის. შეემატა „განათლებული“ პირები ქალაქის „სამღვდლოებას“. კათედრის დეკანოზად დაინიშნა ვაბ. ცაგარელოვი. მოხდა პირველად თათბირი მღვდელთ მთავართან სანთლის ქარხნის დაარსების შესახებ. დაარსდა კიდევ სანთლის ქარხანა. აქედან იწყება მეორე ხანა სანთლის წარმოების საქმისა. აქ მმართველებად ინიშნებიან სამღვდლოების შეუტყობლად ქუთაისის კათედრის მღვდლები ჭეიშვილი და ხან კიკაჩიშვილი. ერთს რომ გაავდებდნენ რამე შეცდომისათვის მეორეს დანიშნავდნენ. ესენი ვერ მოშორდნენ ამ სანთლის ქარხანას როგორც სიამის ტყუბები. კანტროლერად ბრძანდებოდნენ სობოროს უმაღლესი სამღვდლოება ცაგარელოვი, შვანგირაძევი და კუბანიევი და, როგორც შესამჩნევი ფინანსისტი დიაჩოქი, წერეთელოვი; ესენი იღვწიდნენ მთელი ეპარქიის სამღვდლოებისთვის. რკინის გზებში ანგარიშების „სისწორით“ წაყვანისათვის „პოდრიაჩიკებს“ დაიყენებენ ხოლმე, რადგან მათთან ანგარიშის ქონება ხელსაყრელია პოდრიადის მიმცემისათვის... ამისათვის ჩვენმა განათლებულმა სამღვდლოებამ საუმჯობესოდ დაინახეს პოდრიაჩიკის მოწვევა. ეძიეს, ეძიეს და ნახეს ბუჭა, რომელთანაც დაიკავეს საქმე... ბუჭა ძალიან გამოცდილი კაცი იყო ფინანსების ანგარიშის საქმეებში და საქმეს როგორც გსურდა ისე მოგიქანბრავდა. განათლებულმა ჩვენმა „მაღალმა“ კათედრის სამღვდლოებამ დაიყენა „პოდრიაჩიკათ“ ქარხანა სამღვდლოების იყო. საქმე საადვილო იყო. სანთლის

*) იხ. „მწყემსი“ № 13—14 1907 წ.

ყიდულობს მმართველი კონტროლერების ზედამხედველობით, აძლევენ ბუქას, ბუქამ უნდა გარდასცეს ქარხნის ოსტატს, ოსტატმა გაკეთებული სანთელი უნდა ჩააბაროს მმართველს. ოსტატი იღებს თითო ფუთ ჩამოსხმულ სანთელში სამ მანეთს და ბუქა ერთ მანეთს, ჭუჭყის შესავსებად იღებენ ორ გირვანქამდინ. ბუქა იღებს ცვილს და აძლევს სანთლის ქალაღლით, თოკებით შეხვეულს და პატრუქით. ამ ნივთებით სანთლის წონა მატულობს და წლის ბოლოს იწერება წიგნში, სყიდულ არს ბუქასაგან სამოცდა ათი ცვილი სანთელი, როცა მას ერთი გირვანქაც არ უყიდა.

მოხთა გაფლანგვა სამი ათასი მანეთისა. ეს ფულები ბუქას უნდა ეხლო, მაგრამ სანთლის ქარხნის გამგებლების წყალობით ეპატივა ბუქას რადგან მლოცველი კაცი იყო!..

მოხდა მეორეჯერ გაფლანგვა სანთლის ფულისა. ამ ფულებიდან დაიკარგა თვითონ სანთლის ქარხნის საწყობში მჯდომი ახლად მონათლული ურია, (მაგრამ ვინ იცის იქნება თათარი იყო?). შეიძრა მთელი გამგეობა, მაგრამ არა გამოვიდა-რა..

გატეხეს დაკეტილი ოთახი სანთლის საწყობში მდგომისა. ტანისამოსი და ყველა წიგნები ორმოცი მანეთით დალაგებული დახვდათ. აღარა სჩანდა ვნების კვირიაკეში შემოსული ფულიანათ ხუთიათას მანეთამდე. შეშფოთდა ყ-დ სამღვდლო გაბრიელი. დაეკარგა იმედი იმ პირებზე, რომლებსაც დიდი იმედი ჰქონდა და პატიოსან კაცებად რაცხდა. დაინიშნა გამომეძიებელი კომისია, რომლის წევრები გარდა ორი წევრისა თვით პასუხის მგებლები იყვნენ და კონტროლერის კომისიის თავსმჯდომარე გამომეძიებელ კომისიაში თავსმჯდომარედ დაინიშნა!..

1896 წელში იანვრის თვეში ისედაც დასწავლული ყ-დ სამღვდლო გაბრიელი სრულებით დასუსტდა გონებით. ამ უსიამოვნების შემდეგ მღვდელ-მთავარი ძილში ხშირად წარმოსთქვამდა ხოლმე: „შენ ხარ მიზეზი ამდენი ფულის დაკარგვისაო!.. მე ვარ დაძნაშავე? თქვენ რას აკეთებდით? რას უყურებდით? რომ დაგავალეთ, რომ ყოველი დღის ნავაჭრი ფული ჩამოგერთმიათ! მე თქვენ გენდობოდით და რატომ არ უყურეთ?.. ოხ! ღმერთო რა კაცები ყოფილხართ!..“ ვეღარ აიტანა ტანჯულმა მღვდელ-მთავარმა ეს უსიამოვნება და

იანვარში განისვენა. იმერეთის ეპარქიაში გაბატონდა ყოვლად სამღვდლო ბესარიონი. მართა. მან დაინიშნა სამღვდლოების კრება ქ. ქუთაისში. ყველაზე წინ აღძრა კითხვა დეკ. დ. ლამბაშიძემ რომ სანთლის ქარხანა გადაცემოდა სამღვდლოებს. კრებამ დეკ. დ. ლამბაშიძე აღირჩირჩია თავმჯდომარედ. მოელაპარაკა მღვდელთ-მთავარს და მღვდელთ-მთავარიც იძულებული გახდა სამღვდლოებისათვის გარდაეცა სანთლის ქარხნის გამგეობა. შედგა ჟურნალი ამაზე და გათავდა საქმე. სამღვდლოებამ მიიღო დ—საგან შედგენილი პროექტი სანთლის ქარხნის მართვა გამგეობისა და მმართველ კომისიაში უფროსად დააყენა თვით დეკ. დ. ლამბაშიძე.

გაიგეს ეს ამბავი თუ არა ძველმა ქარხნის მართველებმა და კონტროლერებმა მოახდინეს თათბირი მღვდელთ-მთავართან. მღვდელთ-მთავარი დაარწმუნეს რომ 20 ათასი მანეთი შეეძლო გამოერთმია სამღვდლოებისთვის ამ უფლების მინიჭებისათვის. მღვდელთ-მთავარმა მოინდომა თავის უფლების აღდგინება. ლამბაშიძეს გაძევებას უპირებდნენ, იგი გაიქცა ტფილისში; ერთი სადგური ქვეითად გაიარა რადგან გზებზე მოძრაობა შემდგარი იყო ნიაღვრების გამო. მოვიდა იქილამ. მღვდელთ-მთავარი დაწყნარდა.

1896 წლიდან დაიწყო ახალი ხანა სანთლის ქარხნის საქმის მართვა გამგეობის მხრით. ყ-დ სამღვდლომ დაჯინებით მოითხოვა თავისი ერთგული მდივნის დაინიშნა სანთლის წარმოების საქმეში კონტროლერად. სამღვდლოების კრებაც დასთანხმდა. დაიწყო სანთლის საქმის წარმოება სრულებით ახალი წესით. ერთი წლის განმავლობაშივე დამტკიცდა, რომ საქმე გაუმჯობესდა. წინეთ რომ ოთხი ხუთი ათას მანეთამდე შემოდიოდა ქარხანას ეხლა შემოვიდა რვა ათას მანეთამდე. არც ერთი გროში სანთლის ფული არ გაჩუქებულა და არ გასესხებულა, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდათ წინეთ; სამღვდლოებაც დარწმუნდა რომ სანთლის საქმე კარგად წარმართა.

შეინძრენ ქუთაისის მაღალი სამღვდლოება დაიხმარეს მონათესავეები ტაბიძეები, ფოფხაძეები ლეკვეიშვილები და სხვანი და მოინდომე სანთლის საქმის წარმოების ხელში ჩაგდება და ძველებურად მათებურად საქმის წაყვანა. ეპისკოპოსი, რომელ-


საც დაპირდენ სანთლის ფულით სარგებლობას შეუერთდა. დეკ. ლამბაშიძე დაითხოვეს და ჭეი შვილს ჩააბარეს ისევ. სამღვდელოების დებუტატებმაც, წარმოდგინეთ, დიდი სისუსტე გამოიჩინეს და ყველაფერზე დასთანხმდენ რასაც ეს შეთქმული მამები ურჩევდნენ!.. ასე სამწუხაროდ გათავდა მეორე ხანა ჩვენი სამღვდელოების ქარხნის წარმოებისა. რალაცა გასაოცარი ხრიკებით ქარხანა დაკეტეს და ბოლქვაძემ სანთლის საწყობს თავი მიანება და მექარხნეთ დადგა. თუმცა მმართველ კომიტეტს ვალად ჰქონდა დადგენილი, რომ სანთელი თუთხმეტ ფუთზე მეტი არ მიეცა ბოლქვაძისათვის, მაგრამ ბოლქვაძეს აღმოაჩნდა თითქმის ორი ათას სამასი მანეთის სანთელი. აირია ისევე საქმე. სამღვდელოების კრებამ ერთ თავის კრებაზე გარდასწყვიტა, რომ სანთლის დამზადება მიანდოს გელათის მონასტრის ძმათა და თითოეულ ფუთზე ზედ მეტი ჭუჭყის ზარალი გარდაიხადოს ერთი გირვანქა ფუთზე და ფუთს დამზადებულ სანთელში შეცემა სამი ნანეთისა. სანთლის ცვილიც მონასტრის ძმათა მოიპოვონ. ამ ნაირად სანთლის ქარხანა ხელიდან გაუშვეს და წინაპირველ უვარგის წეს დაუბრუნდა სამღვდელოება.

ეხლანდელ გამგებლებს, რომ კითხოთ გეტყვიან ეხლა უფრო კარგად მიდის საქმე ვინემ წინეთო. მაგრამ ეს აშკარა სიცრუეა. ჩვენი სანთლის წარმოების საქმე სულ უკუღმა წავიდა. 1896 და 1897 წლებში ფუთზე წმინდა მოგება იყო 12—12 მ. 50 კ. ღღეს კი 7 მ და 50 კ. შემოდის წმინდა მოგება. გასესხებული ფულები სხვა და სხვა პირზე და უბრალოდ დახარჯული და გაცემული ხუთი ათას ხუთას მანეთს აღემატება. წინანდელი სამღვდელოების ქარხნის ინვენტარი დღევანდელმა გამგებლებმა აღარც-კი იციან სად არის. მარტო ბოლქვაძემ უნდა უზღოს სანთლის საწყობს ორი ათას ხუთასი მანეთი. ამ ფულების ამოსაგები სავეჭილო კანცელარიის მდივანს სამას მანეთამდე მიუღია. ესეთი უნუგეშო მდგომარეობაშია დღეს სანთლის წარმოების საქმე. ეს ასე იქნება ნიადაგ სანამ სამღვდელოების კრება სერიოზულად არ მოიფიქრებს ამ საქმეზე, სანამ ერთი სადილით ამახებს დებუტატს ვალდებულს ვაპატივით 2500 მანეთით...

დამსწრე.

† პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი.

დიდად სამწუხარო ამბავი მოგვითხანა ამ დღეებში გაზეთებმა, უცხოეთში გარდაცვლილა ჩვენი სასიქადულო პროფესორი ვ. პეტრიაშვილი. ვასილი პეტრიაშვილი იყო ქართველი ლარიბი სოფლის მღვდლის შვილი. იგი პირველად შეიყვანეს ტფილისის სასულიერო ოთხკლასიან სასწავლე ბელში. კურსის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში და კურსი დაასრულა ამ სემინარიაში 1862 წელში. აქედამ გაემგზავრა ოდესის უნივერსიტეტში და ამ უნივერსიტეტში დაასრულა კურსი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა 1870 წ. ვ. პეტრიაშვილი გატაცებული იყო წმინდა მეცნიერებით და ამისთვის განიზრახა პროფესორად დარჩენა. პეტრიაშვილმა უკვე 1873 წელს მშვენიერად დაიცვა პროფესორის დისერტაცია და მაშინვე გაითქვა სახელი როგორც ერთობ სინდისიერმა და მუყაითმა მეცნიერ-მკვლევარმა. მისი გამოკვლევანი ბევრი იბეჭდებოდა მაშინაც და შემდეგშიაც გერმანულ და რუსულ სამეცნიერო გამოცემებში. პეტრიაშვილმა მალე ცნობილ მეცნიერის სახელი მოიხვეჭა და საპატიო ადგილი დაიკავა ოდესის უნივერსიტეტში. იქ ყველას, სტუდენტებსაც და პროფესორებსაც, შეუყვარდათ დარბაისელი, პატიოსანი და ფრთხილი მეცნიერი ვასილ მოსეს-ძე, რომელსაც სხვა და სხვა საპატიო და პასუხსაგებ თანამდებობაზე ირჩევდნენ. როცა 1884 წელს ახალი წესდება შემოიღეს, თავისუფლების მოყვარე პეტრიაშვილმა უარი სთქვა ყველა თანამდებობაზე საუნივერსიტეტო ადმინისტრაციის ხასიათისა და მარტოოდენ მასწავლებელ პროფესორობას ეწეოდა თავის აუდიტორიასა და ლაბორატორიაში. უკანასკნელ წლებში, როცა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნივერსიტეტს ავტონომია მიანიჭა, ვასილ პეტრიაშვილი, მედგარის პროგრესიულის რწმენის ადამიანი, ისევ პირველ რიგში წამოაყენეს და ამხანაგებმა ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს; შარშან კი პეტრიაშვილი რექტორის თანამდებობასაც ასრულებდა; მაგრამ რეაქციამ კვლავ გაიმარჯვა და შავრაზმელებმა აიძულეს ვასილ მოსეს-ძე თავი დაენებებინა რექტორობისათვის. მე-90 წლებში



ოდესის უნივერსიტეტმა დიდის ამბითა და აღტაცებით ილდესასწაულა პეტრიაშვილის 25 წლის სამეცნიერო იუბილე; როგორ უყვართ და როგორ პატივს სცემენ რუსის სტუდენტები, რუსის საზოგადოება და სამეცნიერო ქვეყანა ჩვენს თანამემამულეს...

აღსანიშნავი და საგული ხმიეროა ჩვენთვის, რომ ვ. მ. პეტრიაშვილს არ შეუწყვეტია კავშირი სამშობლოსთან. არას ვამბობთ იმ დიდ ამაგზე, რომელიც მას და მის ოჯახს მიუძღვის ოდესაში მოსწავლე ქართველობის წინაშე, ვასილ პეტრიაშვილი მეცადინეობდა და ჰქმნიდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას. ვის არ უნახავს და არ გაუგონია მისი საფუძვლიანი და დიდი თხზულებები მერძვეობის, მეღვინეობის, ვაზის შესახებ, ქართულ ჟურნალებში დაბეჭდილი და მერე ცალკე წიგნებათ გამოსული? იუბილეს გადახდის შემდეგ, პეტრიაშვილმა დაიწყო თავის დიდი ხნის წადილის აღსრულება: სამშობლოში დაბრუნება და განსაკუთრებით მისთვის მუშაობა. იმ ხანებში ლაპარაკი იყო ქართულ კერძო საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსებაზე და ქართველ საზოგადოების სურვილი იყო, რომ ამ ახალ დაწესებულების სათავეში პეტრიაშვილი დამდგარიყო; განსვენებულიც თანახმა იყო, მაგრამ მაშინ ეს არ მოხერხდა და პეტრიაშვილიც ცოტა ხნით კიდევ დარჩა ოდესაში. როგორც ნამდვილად გავიგეთ, საბრალო ვასილს სწორედ ამ შემოდგომაზე გადაუწყვეტია ჩვენში გადმოსახლება; როგორც გვითხრეს, აქაურ სამხედრო საექიმო ლაბორატორიის უთხოვნია მისთვის ლაბორატორიის გამგებლობა ეკისრნა; პეტრიაშვილს უარი შემოუთვლია და მოუწერია: მე წელს ვსახლდები კავკასიაში, მაგრამ ფიქრად მაქვს საქართველოს სამთო სიმდიდრეთა და ნიადაგის მეცნიერულ გამოკვლევას შევუდგეთო, საექიმო ლაბორატორიაში მუშაობა-კი ამაში ხელს შემიშლისო... არ დასცალდა ძვირფას ჩვენს მეცნიერსა და მოღვაწეს ეს განზრახვა და თავისი დიდი ხნის წადილი აესრულებინა! იგი გარდაიცვალა შორს სამშობლოდან, გერმანიის კურორტში, სადაც ამ ზაფხულს გაემგზავრა ჯანის ღონის გასამაგრებლად, რომელიც უნდოდა სამშობლოში ახალ მოღვაწეობის დასაწყებად!..

მგლოვიარე სამშობლო ქვეყანა შენი, უძვირფასესო ვასილ, არასოდეს არ დაივიწყებს შენს

ღვაწლს და ყოველთვის მოწიწებით მოიხსენიებს საუკეთესო აღამიანს.

როგორც სწავლის დროს ყველა სასწავლებლებში ისე ცხოვრებაში გამოსვლის შემდეგ ვ. პეტრიაშვილი იყო ყველასათვის საყვარელი, როგორც მწყნარად მშრომელი, მშვიდი და ყველასათვის საყვარელი ძმა, ამხანაგი, მეგობარი.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, ძვირფასო მამულიშვილო და ნამდვილო ქართველო!..



წ ი გ ნ თ-ს ა ს ა ვ ე გ ი ამერიკის უმართავულ შატაბაში.

ერთგვარი წარმოდგენა აქვთ ამერიკაზე როგორც ევროპაში, ისე რუსეთში. თუ ტენიკასა და მრეწველობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ ამერიკის გადაჭარბებულ პირველობას აკუთვნებენ, ხოლო როდესაც მეცნიერებას ეხებიან, ევროპიელი პუბლიცისტები ღიმილით დაიქნევენ ხოლმე თავს და მალულის კმაყოფილებით შენიშნავენ, რომ ამერიკას ამ მხრივ ბევრი აკლია და ჯერ ფეხს ვერ წამოჰყოფს მოხუც ევროპის წინაშე, მაგრამ ეს არც თუ ისე დამტკიცებული ქეშმარიტებაა.

მართალია, ევროპის მეცნიერებას მრავალ საუკუნეანი ისტორია აქვს, ხოლო ამერიკა აქამდის გართული იყო მატერიალურ კულტურის ალორძინებით, ამიტომ დიდი ხანი არ არის, რაც წმინდა ცოდნის განვითარებას შეუდგა, მაგრამ მაინც საკმაოდ წინ წავიდა. სულ 20—30 წელიწადია, რაც ამ მხრივ ამერიკაში დიდი ცვლილება მოხდა. ეს-ლა ამერიკის მცხოვრებასაც ჰყავს არა მცირე რიცხვი გამოჩენილ აღამიანთა; რაც შეეხება სამეცნიერო საშვალეებს და სახსარს სამეცნიერო გამოკვლევათა მოსახდენად და ამ ცოდნის ხალხში გადასატანად, ამერიკა არა თუ ჩამოუარდება ევროპას, არა თუ ჰკუთის სწავლა არ დასჭირდება ევროპისაგან, არამედ ევროპასაც შუძლიან ბევრი რამ ისწავლოს ამერიკისაგან.

ამ აზრის დასამტკიცებლათ საკმარისია ვაუწყოთ მკითხელებს, თუ როგორ არის დაყენებული წიგნთ-საცავების საქმე ამერიკაში, საზოგადოდ, და ვაშინკტონში კერძოთ.

კონგრესის წიგნთ-საცავი ვაშინკტონში სამაგალითოა მთელს ამერიკაში. წიგნთ-საცავის შენო-

ბა სიმდიდრით და სიმშვენიერით მეტად ძნელი ასაწერია. სიდიდით ცოტათი ჩამოუარდება ინგლისის მუზეის, მაგრამ სილამაზით და მოწყობილობით გაცილებით სჭარბობს. ბევრად უკეთესად არის შიგნით მოწყობილი, ვიდრე ბრიტანიის მუზეი,

კიბეები, სვეტები და თვით კედლები გაკეთებულია თეთრ მარმარილოსაგან, და მორთულია ამერიკელ მხატვართა საუკეთესო ნახატებით. იატაკი და ჭერი მთლად მოჭედილია მშვენიერ ფერად ქვებით. მალა მოთავსებულია რესტორანი, რომელის ფანჯრებიდან გადაჰყურებ მთელ ქალაქს და ზღვის უბეს; ამის გვერდით ოთახია პაპიროსის მწვერთათვის რბილი სავარძლებით, ხოლო ამსთან საპირფარეშო ოთახი, სადაც ყველას შეუძლიან ისარგებლოს ცივი და თბილი წყლით, სპანით და სუფთა პირსახოცით. ქვედა სართულში მოთავსებულია სამუსიკო განყოფილება. აქ არის ყოველგვარი დასაკრავი იარაღი: ვისაც ჰსურს, შეუძლიან ისარგებლოს. ამასთან აქ სამკითხველოა მოწყობილი ბრძენებისათვის. აქვე მოთავსებულია ბინები წიგნთ-საცავის მრავალ რსცხვოვან მოსამსახურეთათვის.

თვით სამკითხველო შუა სართულშია. იგი წარმოადგენს მრგვალ დარბაზს ოთხივ-კუთხივ განათებულს. დარბაზის კედლებად მოყითალო მარმარილოს სვეტებია, მორთული ბრნჯაოს უთვალავ ქანდაკებებით. სამკითხველოში შემოსულს ეძლევა პატარა მაგიდა სავარძლით, და ელექტრონის პატარა ლამპა. შესვლა უფასოა ყველასათვის.


წიგნების მიცემის სისტემა საოცრად არის გაუმჯობესებული. კატალოგი შემუშავებულია ყოველივე წვრილმანის გამოუკლებლად. კატალოგი დაწყობილია ან-ბანზე, მაგრამ ყველა ცოტად თუ ბევრად საინტერესო საკითხის შესახებ არის სპეციალური კატალოგი. ისეთ სიტყვაზედაც კი, როგორც „ნახშირია“, შეგიშლიანთ იშოვოთ მთელი ლიტერატურა. ამას გარდა არის კიდევ ბევრ საკითხზე განსაკუთრებული სარჩევები, რომელიც შედგენილია სამკითხველოს ცნობილ ბიბლიოგრაფის გრაფინის მიერ.

მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი ის არის, რომ წიგნებს მეტად სწრაფად აძლევენ მსურველთ. ბერლინის სამეფო წიგნთსაცავში წიგნს ორი საათის შემდეგ აძლევენ, ბრიტანიის მუზეიში—ნახევარ საათის შემდეგ, ხოლო ვაშინგტონის წიგნთსაცავში—ხუთი წუთის შემდეგ. თუ მივიღებ მხე-

დველობაში. რომ წიგნთსაცავში 1.400.000 ტომი წიგნია, ხოლო ყაფაზების საერთო სიგრძე 90 ვერსი—საკვირველებად უნდა ჩაითვალოს. მეტად უბრალოდ და გონიერულად არის მოწყობილი წიგნების მიღება. საკითხავ დარბაზიდან გაყვანილია წიგნთსაცავის სხვა და სხვა განყოფილებაში ერთგვარი დარები პატარ-პიტარა გოგრებიან ყუთებით. როდესაც სამკითხველოს მოხელე განცხადებას მიიღებს წიგნის მოსაძებნათ, დაახვევს ამ ქალაქს და გოგრებიან ყუთში ჩააგდებს, მერე დააჭერთ ლილს შესაფერ განყოფილებისას, სადაც წიგნი უნდა იყოს. ყუთი მირბის სწრაფად, როდესაც დანიშნულ ადგილს მივა, მეხანიკურ ამუაგდებს დახეულ განცხადებას და მექანიკურადვე ზარს დარეკავს. მორიგი მოსამსახურე მონახავს წიგნს და ჩასდებს გოგრებიანსავე ყუთში. იგიც სწრაფად აიტანს წიგნს საკითხავ დარბაზში. წიგნთსაცავიდან გაკეთებულია ხვრელი კონგრესამდე (თითქმის ვერსის მეოთხედი.) ამის საშვალებით ყოველ დეპუტატს შეუძლიან სხდომის დროს, ადგილიდან დაუძვრელად, მოეთხოვოს რა წიგნიცა სჭირია.

ასეთია ტექნიკური მხარე წიგნთსაცავისა. მაგრამ წიგნების რიცხვითაც და ხარისხითაც კონგრესის წიგნთსაცავი არაფრით არ ჩამოუარდება ვეროპის საუკეთესო წიგნთსაცავებს. თუ რამდენად მდიდარია უცხოეთის განყოფილება, იქიდანაც დავინახავთ, რომ ყოველ წლივ 200.000 მანეთი იხარჯება წიგნების გამოსაწერად. ამას გარდა რამდენს საგანგებო თანხას ხარჯავენ კიდევ წიგნების შესაძენად! ამას წინად კონგრესის წიგნთსაცავმა შეიძინა ციმბირში იუდინის წიგნთსაცავი, სადაც 84.000 ცალი წიგნი იყო. რამდენი ამისთანა! წიგნთსაცავში მოიპოვება ყველა წიგნი და გამოცემა, რომელიც 1846 წელს შემდეგ გამოსულა. ამას გარდა ყიდულობენ კერძო პირებისაგან ან იღებენ საჩუქრად სხვა შტატებისაგან იმ წიგნებს, რომელნიც 1746 წელზე წინადაა გამოსული. ასე რომ შეიძლება წიგნთსაცავში მთელი ამერიკის ლიტერატურა ნახოს მსურველმა. კიდევ რომ არ მოიპოვებოდეს ამ წიგნთსაცავში რომელიმე წიგნი დიდი უბედურება არ იქნება, ყოველთვის შეუძლიან გამოიწერონ შეერთებულ შტატების სხვა წიგნთსაცავებიდან, სადაც კი მოიპოვება.

ამერიკაში არსებობს წიგნთსაცავები კოოპერაცია. ასეთი სისტემა მგონი მარტო ამერიკაშია. თავის საკუთარ კატალოგს გარდა ყოველ



წიგნთსაცავში მოიპოვება სხვა წიგნთსაცავების კატალოგები. რომელი წიგნიც არ იქნება წიგნთსაცავში, მსურველს სხვა ადგილიდან გამოუწერენ. წიგნებს სწრაფი მატარებლით ჰგზავნიან, რომ მსურველს ბევრი ცდა არ დასჭირდეს. ყოველ შტატის წიგნთსაცავს შეუძლიან დაიბაროს საჭირო წიგნები კონგრესის წიგნთსაცავიდან. ამნაირათ კონგრესის წიგნთსაცავი ვაშინგტონში მთელ შეერთებულ შტატებს ემსახურება.

კონგრესის სამკითხველო ამერიკაში სამაგალითოა მაგრამ ამას გარდა თითქმის ყოველ სოფელში და მით უმეტეს ქალაქებში არსებობს კარგი წიგნთსაცავი. თუმცა სიღრმით კონგრესისას ჩამოუვარდებიან, მაგრამ მოწყობილებით ისინიც კარგად არიან მოწყობილნი. არაფინ არაფერსა ჰზოგავს წიგნთსაცავების მოსაწყობად და გასამდიდრებლად. მკითხველს ამერიკაში თავისუფლება აქვს მინიჭებული და ამასთან ნდობაც არის მისდამი. წიგნს მისცენენ წასაკითხად და სულ არა ეფიქრებათ-რა იციან რომ მკითხველს წიგნის ყაიდა აქვს და წიგნს გაუფრთხილდება.

იმდენი წიგნთსაცავებია ამერიკაში, ისე სცდილობენ იმის უკეთესად მოწყობას, რომ გამგეობის მოსამზადებლად განსაკუთრებული სკოლაც კი არსებობს. აქ მომავალ გამგეებს ფართო განათლებას აძლევენ. („ამირანი“).

ჟურნალ-გაზეთებიდან

ახალგაზრდა ოსმალთა პრეტესტი უცხოეთის სახელმწიფოთა ოსმალეთის საქმეში ჩარევის წინააღმდეგ. ახალგაზრდა ოსმალთა დაზეთ „მეშვერეტ“-ის რედაქციამ წინააღმდეგ გამოაცხადა პროტესტი უცხოეთის სახელმწიფოთა ოსმალეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ. პროტესტში ნათქვამია, რომ ყველა ერს უცილობელი უფლება აქვს თავისუფლად თვით-გამორკვევისა და თუ ვინცობაა უცხოელები გაერევიან მის საქმეში, მაშინ ყველა ერს უფლება აქვს აგრეთვე თავის თავის დაცვისა. ახალგაზრდა ოსმალნი მოითხოვენ, რომ სახელმწიფოებმა პატივი სცენ მათს ეროვნულ ღირსებას. მათ შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ უცხოელმა აფიცრებმა სისხლის მორავში ჩაახრჩონ ოსმალეთის პატრიოტები, თავისუფლება და სამართლიანობა, ისე როგორც სპარსეთში.


ახალგაზრდა ოსმალთა შეთაურთა გინცხადება. ახალგაზრდა ოსმალთა პარიზელ კომიტეტის წარმო-

მადგენელმა ახმედ-რიზამ 12 ივლისს გამოუცხადა პარიზში ფრანგ ჟურნალისტებს: „ჩვენი მომხრეები არ დაჰყრან ბიარალს, ვიდრე ოსმალეთის მთავრობა პატიოსნად არ უზრუნველყოფს კონსტიტუციის განხორციელებას. თავდაპირველად უნდა მოწვეულ იქნას პარლამენტი, უზრუნველყოფილ იქნას ბეჭდვის თავისუფლება და გამოცხადდეს ამნისტია. მითხად-ფაშის კონსტიტუციის ისტორია გვაფრთხილებს და უნდობლობას გვგვრის მთავრობისადმი. რევოლიუციონურმა ჯარმა დეპეშით შეგვატყობინა, რომ იგი იარაღს არ დაჰყრის და არ დაიშლება, სანამ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტისგან განკარგულებას არ მიიღებსო“.

ახალგაზრდა ჯარის მქმედება. სალონიკიდან იუწყებიან, რომ ქალაქი ფაქტიურად ჯარის ხელშია. ჯარს ხელმძღვანელობას უწევენ ახალგაზრდა ოსმალნი, რომელნიც თხოულობენ მმართველობის გამოცვლას. ესევე იქცევიან მაკედონიის სხვა ქალაქებშიაც. მდგომარეობა დღე და დღე ძლიერდება. სულთანს ხელიდან ეცლება ძალა.

სარწმუნო წყაროდან იუწყებიან: კონსტიტუციის გამოცხადებამდე, სულთანმა უბრძანა ბოსფორის და დარდანელის სიმაგრეების უფროსებს, დაემზადენით სატანტო ქალაქის (სტამბოლის) დასაცველად აჯანყებულ ჯარისგანო. სიმაგრეების უფროსებმა უპასუხეს, მომზადება საჭირო არაა, რადგან მტრებს არსად ვხვდავთო. ესე იგი აჯანყებული ჯარი ჩვენ მტრებად არ მიგვაჩნიაო. მხოლოდ ამის შემდეგ დასთანხმდა სულთანი კონსტიტუციის აღდგენას. (პ. დ. ს.)

კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ. „პეტ. დეპ. სააგენტო“ იუწყება 15 ივლისის თარიღით: 1876 წლის კონსტიტუცია შეუცვლელად აღადგინეს. გაზეთებში დაბეჭდილი კონსტიტუციის შინაარსი სიტყვა-სიტყვით იგივეა, რაც მითხად-ფაშის მიერ შედგენილი კონსტიტუცია იყო. გალატსა და ბოსფორის პირად მდებარე სხვა ქალაქებში ხალხი მეტად აღფრთოვანებულია. ბერძნები მანიფესტაციებს ახდენენ, ოსმალეთის ბაიარლები დააქვთ და სინარულს აცხადებენ კონსტიტუციის გამოცხადების გამო. საღამოთი ფაკელოუკები (პროტესტები მაშხალით) გაიმართა. გემები დადიოდნენ მუსიკითა, დროშებით მორთულნი, აღტაცებით ეგებებოდნენ უცხოეთის გემებს და ასრულებდნენ ეროვნულ ჰიმნებს. მანიფესტაციებში მონაწილეობას იღებდნენ ოსმალები, რომლებიც



ძმურ სიყვარულს უცხადებენ ქრისტიანებს. ყავახანებში წარმოსთქვამენ სიტყვებს ოსმალურსა და ბერძნულს ენებზე. პოლიცია საქმეში არ ერევა. ყველგან წესიერება იყო დაცული.

გუშინ ილდიზის წინ მოხდა დიდი მანიფესტაციები, რომლებშიაც მრავალი ათასი პირი იღებდა მონაწილეობას, უმთავრესად ოსმალთა საშუალო კლასების წარმომადგენელი მოღვაწეების მეთაურობით. დემონსტრანტებს დაჰქონდათ ბაირაღები ზედწარწერით: „გაუმარჯოს სულთანს, გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს კონსტიტუციას“. ხალხი, რომელშიაც ბევრი ოსმალელი ქალი ერია, ორ პირად გამოწყვიტებული იდგა ქუჩებში და სალამს აძლევდა მანიფესტანტებს, ილდიზის უმთავრესს ალაყაფის კარებთან დემონსტრანტებმა აღტაცებული ოვაცია გაუმართებს სულთანს. გაზეთების საგანგებო დამატებებში გამოაცხადეს ოფიციალური მიმართვა ხალხისადმი, მანიფესტაციებს ნუ მოახდენთო. შეფოთიანი დემონსტრაციები მაშინვე მოიხსნა.

ცენზურის გაუქმებამ და სხვა ბოლონდელმა ამბებმა ძლიერ გააცოცხლეს და აღაფრთოვანებს ოსმალური პრესა. დიდძალი გაზეთი იყიდება ეხლა. საზოგადოება საჩქაროდ ჰყიდულობს გაზეთებს და მეტს ფასსაც აძლევს. ბევრი აპირობენ ახალ ყოველ დღიურ და ყოველ კვირეულ გაზეთების გამოცემას. ოსმალეთის პრესა აღფრთოვანებით ეგებება ცენზურასა და საიდუმლო პოლიციის გაუქმებას.

ოსმალურ გაზეთების სიტყვით, პროვინციალურ მთავრობის წარმომადგენლებმა მიიღეს ბრძანება, რომ ამას იქით მიწერ-მოწერა მხოლოდ პორტასთან (ცენტრალურ მთავრობასთან) იქონიონ.

ოსმალურ გაზეთებში დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სულთანს გადაჭრით ჰსურს კონსტიტუცია უკლებლივ განახორციელოს, რომ მის განხორციელებას ვერავითარი მოსაზრება ვერ შეაფერხებსო. არჩევანს. ყველგან დაუყონებლივ შეუდგებიან. პარლამენტი გაიხსნება 1 ნოემბერს ახალი სტილით.

გაზეთებმა ცენზორები აღარ შეუშვეს რედაქციაში და ამნაირად თითონ განთავისუფლდნენ ცენზურისაგან.

ოსმალელ ქალების უმეტესობა პირახდილი გამოდის ქუჩებში.

დიდ ვეზირთან 14 ივლისს მივიდნენ ოსმალურ გაზეთების გამომცემელი და აუხსნეს, რომ ხალხის დასამშვიდებლად აუცილებლად უნდა გამოცხადებულ იქმნას ამნისტიაო. ვეზირმა შეატყო-

ბინათ, რომ გამოიცა ირადე, რომლითაც გამოცხადებულია საყოველთაო ამნისტია, პოლიტიკურ დამნაშავეთ ყველას უკლებლივ ეპატიათ სასჯელიო. გაზეთებმა საგანგებო დამატებებში დაბეჭდეს ეს ირადე.

სამხედრო სამინისტროს წინ გაიმართა დიდი შიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ბევრმა აფიცურმა. შიტინგმა აირჩია ექვსი დელეგატი იმ აზრით, რომ დიდ ვეზირს მოსთხოვონ ბევრ უვარგის მოხელის გადაყენება და დასჯა. დიდმა ვეზირმა უპასუხა, რომ ხსენებული პირნი კონსტიტუციის მფარველობის ქვეშ იმყოფებიანო.

დიდი ვეზირი საილ-ფაშა თანდათან საყოველთაო სიყვარულს იძენს. მან დაითხოვა მრავალი ჯაშუში, მინისტრთა საბჭოდან განდევნა სულთანის პირადი მდივანი იზედ-ფაშა და აშკარად წინააღმდეგა სასახლის წრეებს, ყველა ამას დიდი ყურადღება მიაქცია საზოგადოებამ.

სოფტებმა და სხვა რეაქციონერებმა დააარსეს ანტილიბერალური ჯგუფები ახალგაზდა ოსმალეებთან საბრძოლველად.

პერას გუბერნატორი ჰამდი-ბეი დაინიშნა პოლიციის მინისტრად, საზღვაო მინისტრი რამი-ფაშა სამსახურიდან დაითხოვეს და მის ადგილას დანიშნეს ვიცე ადმირალი ხალიფ-ფაშა.

14 ივლისს გამოიცა ირადე, რომლის ძალით სტამბოლსა და მის მიდამოებში დაუყონებლივ უნდა მოახდინონ არჩევნები დადგენილ წესების თანახმად.

გამოაცხადეს ირადე, რომლის ძალით პარლამენტას შენობა უნდა განახლონ და მოაწყონ ხონთჭრის ხარჯზე.

დებულების ცენზურა დღეიდან გაუქმდა.

ოსმალური გაზ. „საბახ“-ი სწერს, რომ ამას იქით სახელმწიფოებმა ხელი უნდა აიღონ რეფორმების შემოღებაზე მაკედონიაში, რადგან კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს რეფორმებს მთელის იმპერიისთვისო.

სულთან აბდულ-ჰამიდის სიტყვა. „კორ. ბიურო“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: „ოსმალური გაზეთები იუწყებიან დღესა, რომ სულთანნი 13 ივლისს შეუღამის დროს გამოვიდა ხალხთან, რომელიც შეიკრიბა ილდიზ-კიოსკთან, გაალო ფანჯარა და იკითხა, რისთვის მოსულა ხალხიო. ხალხმა უპასუხა: „ჩვენ მხოლოდ გვინდა გავიგოთ, როგორა ბრძანდება თქვენი უდიდებულესობა. აგერ უკვე 32 წელიწადია მას აქეთ, რაც ზოგიერთი მოღალატე არ გვიშვებდა, რომ თქვენის უდიდე-

ბულესობის სახე დაგვენახა. ეხლა ჩვენ ვიხილეთ თქვენი უდიდებულესობა. ათასს მადლობას მოგახსენებთ. მრავალ-უმნიერ სკოცხლობდეს ფადი-შაჰი!.. სულთანმა მიუგო: „შვილნო ჩემნო! დინჯად იყავით. ტახტზე ასვლის შემდეგ მე ვშრომობ სამშობლოს საკეთილდღეოდ. ჩემი უგულწრფელესი ნატურა იყო კეთილდღეობა ჩემის ქვეშევრდომებისა, რომლებიც იმდენადვე მიყვარან, როგორც ჩემი საკუთარი შვილები. ღმერთია მოწამე, რომ ამიერიდან თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია. მეც თქვენთან ერთად ვიშრომებ. იცხოვრეთ ეხლა ძმურად და თავისუფლებით ისარგებლეთ, კმაყოფილი ვარ იმ ერთგულებით და მადლობით, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ. წადით შინ, მოისვენეთ“. ხალხმა ოვაცია გაუმართა სულთანს და დაიშალა.

ოსმალეთის ჯარში რომ რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო, ახალგაზდა ოსმალთა პარტიის პარიზელმა კომიტეტმა დეკლარაცია გამოსცა და ევროპიელებს აუხსნა მოძრაობის მიზანი და აზრი. დეკლარაციაში სხვათა შორის ეწერა:

„ტელეგრაფს ამბავი მოაქვს, რომ მაკედონიის სხვა და სხვა ადგილებში აფიცრებმა—ახალგაზდა ოსმალებმა ხალხის დახმარებით აჯანყება მოახდინესო. ერთი დებეშა, ვინიდან მიღებული, უმატებს, რომ ქრისტიანებს თავზარი დაეცათ, რადგან მათ ჰგონიათ, რომ მოძრაობა ქრისტიანების წინააღმდეგ არის მიმართულიო. სულთანს აბდულ-ჰამიდს და ზოგიერთს სახელმწიფოებს, რომლებსთვისაც სასარგებლოა ოსმალეთის ეხლანდელი დესპოტიური წეს-წყობილება, ჰსურთ ეს პატრიოტული მოძრაობა ახალგაზდა ოსმალთა ისე წარმოადგინონ. როგორადაც მოძრაობა ქრისტიანთა და უცხოელთა წინააღმდეგ და ამით გაამართლონ ევროპის თვალში ის მკაცრი რებრესიული ღონისძიებანი, რომელიც უეჭველია მიღებულ იქმნებთან.“

მაგრამ ახალგაზდა ოსმალთა პარტიას არც ერთ თავის დეკლარაციაში არას დროს არ დაუდგია განსხვავება ეროვნებათა ან სარწმუნოებათა შორის, არას დროს არ უქადაგნია სიძულვილი და მტრობა. პირიქით, ის წეს-წყობილება, რომლის დამყარებასაც სცდილობს პარტია, მტკიცედ უზრუნველყოფს ოსმალეთის ყოველი ეროვნების კეთილდღეობასა და თანასწორობას. ებრაელებს, ქრისტიანებს და მუსულმანებს ექნებათ ერთი და იგივე მოვალეობა და თანასწორი უფლება. მათი კანონიერი ინტერესები დაცულ იქმნება სრულიად თანასწორად.

ახალგაზდა ოსმალთა პარტია პატივსაცემს აკრებთვე ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას. კონსტიტუციის მიერ უზრუნველყოფილი სახმართლიან და თავისუფალ წესწყობილების დროს, უცხოელები უფრო ადვილად შეიძლებენ ზნეობრივ და ქონებრივ დახმარების გაწევას ოსმალეთის ერის ასალორძინებლად.

ზოგიერთი, ბნელ წყაროდან გამოსული დებეშა საიდუმლოების ხასიათს აძლევს ჩვენს მოძრაობას, მაგრამ ახალგაზდა ოსმალთა პარტია სრულიად აშკარად მოქმედობს. მან გამოაცხადა მრავალ პროკლამაციაში, თუ რის გაკეთება ჰსურს. პარტია ბოლომდე შეასრულებს თავის პროგრამას“.

ახალგაზდა ოსმალები აუარებელ პროკლამაციას ავრცელებდნენ ხალხსა და ჯარში მოგვეყავს ნიმუში მათის პროკლამაციისა, რომელიც მარტივ გასაგებ ენით არის დაწერილი:

„ოსმალეთის ერის შვილნო! ძმანო ოსმანნო! ანატოლიისა და რუმელიის ღირსეულო მცხოვრებნო! დროა შევერთდეთ და ვიხსნათ ჩვენი ქვეყანა მტარვათაგან, რომელთაც ხელში ჩაიგდეს იგი თქვენისავე დაუდევრობის წყალობით. თუ ჩვენ თითონვე არ ვიხსნით სამშობლოს, მაშ სხვებისგან ხომ არ უნდა ველოდეთ შეველას, ან იქნება მოსკოვმა (რუსეთმა) იხსნას ჩვენი სამშობლო? ყველაფერს ჩვენს გარშემო თან და თან ცეცხლი ეკიდება, ჩვენი სოფლები გადატაკებულია, მათი მცხოვრებნი დამშეული. ჩვენის თვალის სინათლე—ჩვენი შვილები (ჯარის-კაცები)—იღუპებიან არაბეთის უდაბნოებში და მაკედონიის მთებში. ჩვენი კერიები გაციებულია უცეცხლობითა, ჩვენი გული გაუხარებელია. მინდვრები—უმუშოდაა, ცოლები უქრმოდ, მამები და დედები—უშვილებოდ. მთელი მუსულმანობა მდუღარე ცრემლითა ტირის. ყოველ სახლში კუბოა, ყოველ გულში—ტანჯვა, ყოველ სხეულში—ქრილობა. ჩვენი თავი ეკუთვნის ჩვენის სამშობლოს მკვლელებს, ხალხის მტრებს, გველებზე უარესებს, მხეცეებზე უსაშინელესებს“.

პროკლამაცია ყველა ამ უბედურების მიზეზად სთვლის სულთანს აბდულ-ჰამიდს და დესპოტიურ წესებს: „მან მისცა ჩვენს მტრებს კრიტოსი, ყარსი, ბათუმი, ბოლგარია და რუმელია,—ისეთი ადგილები, რომლებიც არაფრით არ განირჩევიან სამოთხისაგან. ჰოი, საყვარელნო ძმანო! აბდულ-ჰამიდმა მთელმ მუსულმანობა, ყველა მუსულმანები სირცხვილის კერძად გახადა და მთლად დაამონა.“

ზარის ემიგრანტი ოსმალები კლემანსოსთან.

25 ივლისს, საღამოს 5 საათზე, რამდენიმე ასი ემიგრანტი ოსმალო შეიკრიბა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასახლის წინ, აირჩია ოთხი კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია, შეუგზავნა მინისტრ პრეზიდენტ კლემანსოს და მიაართვა ადრესი. ადრესში ახალგაზდა ოსმალოთა პარტია მადლობას უცხადებს საფრანგეთს სტუმართ მოყვარეობისათვის. კლემანსომაც მადლობა გადაუხადა დელეგატებს. ემიგრანტებმა მთელი ოვაცია გაუმართეს კლემანსოს. ამ მანიფესტაციის გამართვა პრინც საბახ-ელნის საქმეა.

ოსმალების ძირითადი კანონები.

სულთანის მანიფესტში ძირითად კანონებს შესახებ შემდეგი 15 მუხლია: 1, ოსმალითის ყველა ქვეშევრდომს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ენიჭება პიროვნების თავისუფლება; ყველანი თანასწორნი არიან უფლებითა და მოვალეობით; 2, უკანონო არავინ იქნება დატუსაღებული ან დასჯილი; 3, საგანგებო დროს შემოღებული სასამართლოში უქმდება. პასუხის მგებლობაში მიცემა შეუძლიან მხოლოდ სასამართლოს; 4, ყველას ბინა ხელშეუხებელია; სხვის სახლის გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ კანონში აღნიშნულ შემთხვევებში; 5, მოხელეებს შეუძლიანთ იშუამდგომლონ ვინმეს შესაპყრობად მხოლოდ კანონში აღნიშნულ შემთხვევებში; 6, ჩვენს ქვეშევრდომთ უფლება აქვთ იცხოვრონ სადაცა ჰსურთ და შელდნენ ვისთანაცა ჰსურთ; 7, ლიტერატურული ნაწარმოები, სანამ არ დაიბეჭდება, მთავრობის კანტროლს არ ექვემდებარება; გაზეთებისა და წერილების გახსნა ფოსტაში და მათი კონფისკაცია დაკრძალულია. ბეჭდვითი სიტყვის საქმე ექვემდებარება სასამართლოს; 8, სწავლა განათლების საქმე თავისუფალია; 9, დაწესებულია მოხელეთა პასუხისმგებლობა: მოხელენი მოვალენი არიან დაემორჩილნენ მხოლოდ ისეთ განკარგულებებს, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება; ვერავის დანიშნავენ რომელსამე თანამდებობაზე, თუ თავისი სურვილი არ იქნება; 10, დიდი ვეზირი ნიშნავს მინისტრებს და მერე უდგენს სულთანს დასამტკიცებლად. სულთანი ნიშნავს დიპლომატიურ წარმომადგენლებს და სახელმწიფო საბჭოს წევრებს საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრებთან და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით; მე-11 და მე-12 მუხლები შეეხება შინაურ სამსახურის

ორგანიზაციას; 13, ბიუჯეტი ჩვეულებრივი თუ არა-ჩვეულებრივი შემოსავალ გასაღლისა უნდა გამოქვეყნებულ იქნას საყოველთაოდ ყოველ საფინანსო წლის დამდეგს. უნდა გამოქვეყნებულ იქნას აგრეთვე ბიუჯეტი ყველა ცალკე უწყებისა და ვილაეტებისა; 4. კანონ-პროექტები სახელმწიფო და საზოგადო საქმეთა შესახებ წარედგინება დეპუტატთა პალატას.

ახსლგაზდა ოსმალოთა ზარის კომიტეტის ორგანიზაცია.

ახალგაზდა ოსმალოთა პარტიის კომიტეტი მეტად ფრთხილად იქცევა თურმე, დღევანდელ ვითარებასანგარიშს უწევს და ისევე კონსპირატიულად იქცევა. ისინი, ვინც მოძრაობას ხელმძღვანელობას უწყევდნენ, ისევე დაფარულად მოქმედებენ, როგორც აქამდე სანამ უკეთეს პირობებს დაინახავენ, ახდითად გამოსვლას არ აპირებენ. ცენტრალური გამკეობა ახალგაზდა ოსმალოთა კომიტეტისა ისევე პარიზშია. კონსტანტინოპოლსა, სალონიკსა და მცირე აზიის ზოგიერთა ადგილებში მხოლოდ კომიტეტის განყოფილებებია, თავიანთ პრეზიდენტებით, მდივნებით და მრავალ დელეგატებით. როგორც აქამდე, დღესაც არავინ იცის, სად იმყოფება მთავარ გამგეობის ბინა და ან იმის ხელმძღვანელებისა. სხდომები ყოველ დღე იმართება და კვლავინდებურად დიდის საიდუმლოებით არის ყველაფერი მოცული, რაც-კი ხდება ამ სხდომებზე. წერილობითი ბრძანებანი და განკარგულებანი კვლავინდებურად საიდუმლოდ ისტამბება. ყველა წევრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ არას გზით არ აღიაროს თავისი ვინაობა, თუ კი ამას არა თხოულობს განსაკუთრებული პირობები და საქმის სარგებლობა. ყველა დელეგატს დაევალა ყური უგდოს საზოგადოების აზრს, იმოქმედოს ხალხზე. პარტიასა და მთავრობის შორის დამოკიდებულება ხდება ან სხვა პირების მეოხებით ან გაზეთის საშუალებით. ამნაირად ახალგაზდა ოსმალოთა კომიტეტი საუცხოვოდ არის მოწყობილი. ამ ორგანიზაციამ არა მარტო მოიპოვა კონსტიტუცია, მასთან შეჭმნა განსაკუთრებული სისტემა უჩინარად ზედმოქმედებისა ხალხსა და მთავრობაზე.

მითხად-ფაშის წერილები.

გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, თუ ვინ იყო პირველი კონსტიტუციის შემომღები ოსმალითში, იცნობენ მითხად-ფაშის მამულიშვილურ საქციელს, იციან, როგორ გასტანჯეს თავისუფ-

ლების მოტრფიალედ და აგრეთვე ისიც იცინან, რომ დღეს, როდესაც კონსტიტუცია უკვე დაწესდა ოსმალეთში, როდესაც ხალხი დღესასწაულობს თავის გამარჯვებას, ხალხი არ იფიწყებს თავისუფლებისათვის მებრძოლთ და წამებულთ და ისეთ. აღამიანებს, როგორც მითხად-ფაშა იყო, ხალხი პატივისცემით იგონებს იმის სახელს. დღეს ხალხმა შური იძია იმათზე, ვინც ბოლო მოუღო მითხად-ფაშას. გაზეთებში მითხად-ფაშის საინტერესო წერილებია გამოქვეყნებული. მეტი არ იქება, ჩვენს მკითხველს ვაუწყავთ უფრო სანიმუშო ადგილები წერილისა. როდესაც დასაჯეს და ადგილიდან ჩა. მოაგდეს, მითხად-ფაშამ წერილი მისწერა აბდულ-ჰამიდს და, სხვმთა შორის, აი რასა სწერს: „როდესაც ჩვენ ვაარსებდით კონსტიტუციას, ჩვენი მიზანი იყო ბოლო მოგველო მტარვალობისთვის, გვეჩვენებინა თქვენი აღმატებულებისათვის სწორი გზა, მინისტრების ვალდებულება ყოფილიყო შემოდებული და ოსმალეთი აღორძინების და ცივილიზაციის გზას დასდგოდა. იმიტომ კი არ შემოვიღეთ კონსტიტუცია, რომ ევროპის თანაგრძნობა და სიმპატია დაგვემსახურებინა, იმ ევროპის, რომელიც მუდამ ჩვენს მტრობაშია...“

მე მუდამ პატივს ვცემდი თქვენს სურვილსა და ბრძანებას, მაგრამ ვემორჩილები სარწმუნოების მოვალეობასაც და არ შემიძლიან არ მიგიითოთ, როდესაც თქვენი ბრძანება ხალხის საწინააღმდეგო რამეს შეიცავს. მე სინიღისის წინაშე მოვალე ვიყავი ჩემი ქვეყნისა და ხალხის ბედნიერებაზე მეზრუნა. ჩემი სინიღისის წინააღმდეგ წასვლა არ შემიძლიან. სამშობლო გამკიცხავს, თუ ჩემში უფულწრფელობას და სიყალბეს დაინახავს, ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემ თავს და გუებნებით: ოსმალები თვითონ უნდა განაგებდნენ თავიანთ ბედ-იღბალს, როგორც ჩაქუჩი საქიროა მქედლისთვის, ისე ოსმალეთისათვის კონსტიტუციაა საქირო“.

ამ სიტყვებმა ვერავითარი ვაეღენა ვერ იქონია გულცივ აბდულ-ჰამიდზე. მითხად-ფაშას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ აბდულ-ჰამიდმა სასჯელი შეუცვალა სამუდამო გადასახლებით. იქიდან მითხად-ფაშა აი რასა სწერს თავის ოჯახობას: „ზურგის სიმსივნემ ქვეშაგებში ჩამაწვინა. ამხანაგებმა, ჩემს უნებურად, სთხოვეს გუბერნატორს, ექიმი გამოეზავნა. მაგრამ გუბერნატორმა საქიროდ არც კი დაინახა, პასუხი გაეცა თხოვნაზე. გუბერნატორს ნაბრძანები აქვს, შიმშილით ამო-

მართვას სული ან როგორმე მომისპოს სიკვდილედ. ჯერ ამიკრძალეს მოსამსახურის ყოფილად შემდეგ ხორცეულის ქამის ნება მომისპეს, შემდეგ ამიკრძალეს ჩემის ხარჯით ვიცილო პური და მწვანელი. წიგნები, ქაღალდები კალამი და კარანდაში—არც კი მითხოვნია, რადგან ვიცოდი, ნებას არ დამრთავდნენ. რაღაც სასწაულით მომდის თქვენი წერილები. სასოწარკვეთილებას ვეძლევდი, ექვი შემდის განგების სამარლიანობაში“.

სიკვდილის რამდენიმე დღის წინად სწერდა კიდევ წერილს თავის ოჯახს: „მაღე მაინც მომიღებდნენ ბოლოს, რომ შეიტყო ჩემი მოკვლის ამბავი. ნუ იტირებთ და ნუ გაგიკვირდებათ. მე უნდა ვეწამო წმიდა საქმისათვის“.

ასე კვდებოდა ოსმალეთის კონსტიტუციის პირველი მერცხალი. როგორც ვიცით, მითხად-ფაშა მოკლულ იქმნა დაქირავებულ მკვლელის მიერ.


კონსტანტინეპოლში დიდი ამბით დახვდნენ ნაზიმ ფაშა. ნაზიმ ფაშა ის გენერალია, რომელმაც ეპოლეტები აიგლიჯა მხრებიდამ და უარი განაცხადა სამსახურზე, როდესაც მის სახლში შევიდა პოლიცია გასაჩხრეკად ფუადა-ფაშის გაძევების შემდეგ, ნიაზიმს მიუცაჯეს ციხე 5 წლით და სამშობლოდამ გაძევება. კონსტანტინეპოლის კომიტეტების წევრები დახვდნენ ნაზიმ-ფაშას. 30,000 კაცი დახვდა.

გადასახლებულ ოსმალების სამშობლოში დაბრუნება.

ამერიკიდან „ტაიმსს“ ატყობინებენ, რომ ოსმალეთის კონსტიტუციის გამოცხადებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ოსმალეთის ქვეშევრდომებში. სომხები, ოსმალები, ბერძნები, ქურთები, — ყველა მოწადინებულია დაბრუნდეს სამშობლოში. ყველაზე ძლიერ სომხებს უხარიათ, რადგანაც დღემდე ამათ საშუალება არა ჰქონდათ თავის ოჯახში დაბრუნებულიყვნენ. ბევრი მათგანი კიდევ მოეწყო ამერიკაში და იქაურ მოქალაქეთაც ითვლებიან. ლონდონის სომეხთა კოლონიაც მალე მიდის ოსმალეთში, სწერს „ტაიმსი“.



ახალი ამბები და შენიშვნები.



საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზრწმუნოებასა და კეთილზნობაზე.

წიგნი „ღვთისმეტყველება“
(გაგრძელება)

დღე ღვინებისა მოასწავებდა დღეს ჩვენი გამოხსნისას ქრისტეს მიერ; თვით მღვდელთ მთავარი, უმანკოების ნიშნად შემოსალი სელის სამოსელში, მოასწავებდა ქრისტეს, რომელიც აღვიდა ცად, როგორც შუამდგომელი ღვთისა და კაცთა შორის.

ღმერთმა უბრძანა მოსეს ისიც თუ რა თვისებისა უნდა ყოფილიყვნენ ებრაელთა მღვდლები. ისინი უნდა ყოფილიყვნენ ყოველიფრით წმიდები და სუფთები, მორიდებულნი ყოველივე არა-წმიდებისაგან; მათ აკრძალული ჰქონდათ გლოვა მაცვალებულთა გარდა დედ-მამისა, და-ძმათა და შვილებისა, მღვდელთ მთავარს კი არც ამ ახლო ნათესავთა გლოვის ნება ჰქონდა, რადგანაც ამ გლოვას შეეძლო მოეცდინა იგინი ღვთის მსახურებისაგან. სამღვდლო პირები უთუოდ საღი აგებულობისა უნდა ყოფილიყვნენ; ბრმა, კოჭლი, მკელობელი, ქაჩალი ან ქეციანი ან სხვა რაიმე ხორციელი ან სულიერი ნაკლის მქონებელი კაცი ვერ ეღირსებოდა მღვდელობას. მღვდლები, როგორც კარვის მოსამსახურენი, კარვისაგანვე საზრდოობდნენ. (თ. 21).*

*) იხილეთ „მწყემსი“ № 13—14 1908წ.

*) 22 თავში აღწერილია სამსხვერპლო ცხოველთა თვისებანი, რაც ჩვენ ზევით მოვიხსენეთ.

* * * სამშობლო ენის არ მსურველნი. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ განიხილა განცხადება სახალხო სკოლების დირექტორისა, რომელიც სწერდა: ბევრმა ადვილობრივმა მცხოვრებმა მოხონვა გაიხსნას ტფილისში შერეული სასწავლებლები, სადაც სწავლა რუსულ ენაზე სწარმოებდეს, რადგან ჩვენმა შვილებმა დედა ენა არ იციანო. კომისიამ განიხილა ეს დამახასიათებელი ამბავი და დაადგინა: დაევალოს სკოლების გამგეთ შეჰკრიბონ და წარუდგინონ ცნობება იმ მოსწავლეთა შესახებ, რომელთაც არ იციან სამშობლო ენა; დაევალოს კომისიის წევრებს თოფჩიანს, მელიქბეგლიაროვს და ვართანოვს ადგილობრივ შეისწავლონ ეს საკითხი; დაცულ იქნეს ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული პრინციპი ქალაქის სკოლების დაყოფილ ნაციონალურ სკოლებად და ეცნობოს სახალხო სკოლების დირექტორს, რომ ქალაქის თვითმართველობას არასოდესაც წინააღმდეგობა არ გაუწევია მშობლებისათვის თავიანთი შვილები იმ სკოლებში მიიბარონ, სადაც მათ სურთ.

* * * ახა ჩვეულებრივი შემამულები. გაზ. „პრინტ. კრაი“-ს კორესპონდენტის სიტყვით, აღექანდრომსკის მემამულეს რუდს თავისი მამული უჩუქებია გლეხებისათვის. მემამულე რუდს სულ 1500 დესეტინა ჰქონდა (3000 დლიური), აქედან თავისათვის სტოვებს 300 დესიატინას, დანარჩენს გლეხებს აძლევს. შეუკრებია გლეხები და უთქვამს, 1500 დესიატინიდან მე ვიტოვებ 300, დანარჩენი თქვენ, მიწის შვილნოვო. ყველა გლეხი, რომელიც მე მემსახურებოდა, მიიღებს თითო 5 დესიატინას. ხოლო ჩემი ნაყმევი—2 დესიატინას. საინტერესოა ისიც, რომ ამ კეთილ მემამულეს ქალებიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ და თითო სრულს წლოვან ქალისთვის ისე, როგორც მამაკაცებისთვის, ორ-ორი დესიატინა მიწა მიუცია. ამ გარემოებამ მეტად გაანჩხლა მეზობელი მემამულენი. ყველანი ჰკიცხავენ ამ „ლიბერალ“ მემამულეს.

კანონები დღესასწაულთა შესახებ.

ებრაელებს ჰქონდათ შემდეგი დღესასწაულები: **ა**, შაბათი—ანუ მეშვიდე დღე კვირისა; ამ დღეს აღკრძალული იყო ყოველი საქმე; ამ დღეს კრძალვით იხსენებდნენ ქვეყნის შექმნას და აღიდებენ ღმერთს, რომელმა მეშვიდე დღეს განისვენა; დღე შაბათი გაახსენებდა ებრაელთ სასწაულებრივს განთავისუფლებას ეგვიპტით მონებისაგან; ამ დღეებში იხსენებდნენ კაციც და მუშა საქონელიც. **ბ**, პასექი, ანუ ზატიკობა იწყებოდა გაზაფხულის პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს საღამოთი და გრძელდებოდა შვიდი დღე; დიდ დღესასწაულებად ითვლებოდნენ პირველი და უკანასკნელი დღეები პირველს დღეს ებრაელნი სჯამდნენ ყველა თავისს ოჯახში საპასექო კრავს, როგორც უბრძანა ღმერთმა. შვიდი დღის განმავლობაში ივინი ხმარობდნენ საკმელად უცმომ (ანუ გაუღვიარ; პურს და ამიტომ ამ დღესასწაულს ერქვა კიდევ დღესასწაული უცომოებისა. ამ დღესასწაულის მეორე ე. ი თვის 15 დღეს ჩვეულებად ჰქონდათ პირველი ყანის მქლეულის (ხელეურის) შეწირვისა სამადლობელად ახალი მოსავლისა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ახალი მოსავლის პურის ჭამა. დღესასწაულები პასექისა და უცმომებისა დაწესებული იყვნენ მოსახსენებლად ეგვიპტედან განთავისუფლებისა და გამოსვლისა. პასექის დღესასწაულის მეერგასე (ორმოცდა მეთე) დღეს სრულდებოდა. **გ**, დღესასწაული ერგასეუდი; ამ დღეს ნაბრძანები იყო სასტიკი უქმობა; მსხვერპლები ისევე დიდებულნი აყენენ, როგორც პასექს. გარდა ამისა ამ დღეს მოჰქონდათ გაღვიებული პურიც, თუმცა კი არა სწირავდნენ სამსხვერპლოზე. ეს დღესასწაული დაწესებული იყო მოსახსენებლად სინას მთაზე სჯულის მიღებისა. **დ**, დღესასწაული სუფიართა სრულდებოდა შემოდგომის თვის ტიშრის პირველს დღეს. ეს დღესასწაული იყო იმავე დროს სამოქალაქო ახალი წლის პირველი დღე; ამავე დღეს ზედ ერთობოდა დღესასწაული. **ე**, თვის თავის(რიცხვ. 10,10), რადგანაც ყოველი თვისპირველი დღეც დღესასწაული იყო. ამის გამო, ამ დღეს მსხვერპლებიც ორნაირი იწირებოდა—ახალი წლისა, ანუ საყვირთა დღესასწაულისა და თვისთავისა; ამ დღესასწაულის დასაწყისს ხალხს ატყობინებდნენ საყვირებით, რისაგანაც წარმოსდგა

თვით-წოდება დღესასწაულისა, ხალხი იკრიბებოდა კარავთან და ეს დღე უქმე იყო. **მ**, დღე ღმერთისა, ანუ განწყედის (იხილე ზემოთ.) ამავე ტიშრის თვის მეთოთხმეტე დღიდან იწყებოდა დღესასწაული კარავთა, ანუ ტაფარობისა და გრძელდებოდა რვა დღე. ამ რვა დღის განმავლობაში ებრაელთ უნდა ეცხოვრნათ სახლებს გარეთ, მინდორში გაკეთებულ კარვებში, რომლებიც მორთულიყვნენ სხვა და სხვა ხეების ტოტებით, ფოთლებით, ყვავილებით და მწვანეთი. ამ დღესასწაულის უმთავრეს დღეებად ითვლებოდნენ პირველი და უკანმსკნელი დღეები; ამ დღეებში აღკრძალული იყო ყოველი მუშობა. ხალხი იკრიბებოდა კარავთან და ისმენდა სჯულის წიგნის კითხვას. მიზანი დღესასწაულის დაწესების ისაა, „რათა იხილენ ნათესავთა თქვენთა—ისრაილისა), რამეთუ კარავს შინა დავაჰკვიდრენ ქენი ისრაილისნი, რაჟამს გამოვიყვანენ ივინი ქვეყნით ეგვიპტით (თ. 23).*

როცა ებრაელნი დაიპყრობდნენ აღთქმის ქვეყანას და დამკვიდრდებოდნენ მაში, მათ უნდა ედღესასწაულნათ კიდევ **ზ**, შაბათის წელიწადი, ანუ წელიწადი დასვენებისა. ყოველი მეშვიდე წელიწადი (თვლა წელიწადთა უნდა დაწესებულიყო აღთქმის ქვეყანაში შესვლის წლიდან) ითვლებოდა შაბათის, ანუ დასვენების წელიწადად; დღესასწაულობა მდგომარეობდა მაში, რომ ამ წელიწადს აღკრძალული იყო მიწის მუშაობა—„ყანა შენი არა სთესო და ვენახი შენი არა განსხლას“; ამ რიგად კაცთან ერთად ისვენებდა მიწაც და მუშა ცხოველიც; რაც მიწაზე მოვიდოდა თავისთავად-კაცის უმუშავებლად, მითი უნდა ესარგებლნათ, ღარიბებს, ყოველს სულდგმულს ცხოველს; მოვალეებს ეპატრებათ ვალი (მეორესჯ. 15,1—2); მონებს (ებრაელთაგან) ეძლეოდათ პირადი თავისუფლება და იკითხებოდა სასმენელად ხალხისა სჯულის წიგნი.—გარდა შაბათის წლისა ებრაელთ უნდა ედღესასწაულნათ კიდევ ყოველი მეშვიდე წელიწადი შაბათის წლებიდან ანუ ორმოცდა მეთე (მეერგასე) წელიწადი, რომელსაც ეწოდებოდა **ც**) წელიწადი

*) 24 თავში აღნიშნულია წესები სასანთლზე სანთლის და ზეთის ანთებისა, დასაგებელ 12 პურთა და წყვივის შესახებ.

მიტევების. შესახებ ამ წელიწადის დღესასწაულობისა იგივე წესები და კანონები იყო, როგორც შაბათისა, მაგრამ უფრო განვითარებით და განვითარებით; ამ წელიწადს მონა თავისუფლდებოდა ბატონისაგან მთლად თავისი ოჯახობა და არა მარტო პირადად როგორც შაბათის-წელიწადს; ამავნავე წელში სრულიად უფასოდ უბრუნდებოდათ გაყიდული ან დაგირავებული მამულები და ადგილები. ეს წელიწადი მიტევებისა დიდი დღესანაული იყო და მონების განთავისუფლებას ხალხს ატყობინებდნენ ოქროს საყვირის ხმით ლხინების დღეს, როცა ღვით ღმერთი მიუტევებდა ყველა ებრაელთ ცოდვებს; ამიტომ ეს წელიწადი მიტევებისა მოასწავებდა იმ შეწყნარებულს წელიწადს, როდესაც მოვიდოდა მესია მხარობლად გლახაკთა, განკურნებად შემუსვრილთა გულითა, ქადაგებად ტყვეთა განტევებისა, ბრძანათა აღხილვად (ლუკ. 4,19—19; თ. 25).

ებრაელებს შეეძლოთ აღეთქვათ ღვთისათვის შეწირვა ყველაფრისა; შეიძლებოდა შეწირვა კაცისა. შეწირული მამაკაცი შველოდა ლევიტელებს და მღვდლებს სამსახურის შესრულების დროს, მაგ. სკრიდნენ შეშას, ზიდავდნენ წყალს, ეხმარებოდნენ მსხვერპლის შეწირვის დროს; შეწირული ქალები კი რეცხდნენ, ქსოვდნენ, კერავდნენ; შეწირული ბავშვები კი იზდებოდნენ კარავთან და ასაკში მოსვლის შემდეგ ეხმარებოდნენ მღვდლებს, მაგრამ შეიძლებოდა შეწირული კაცის გამოსყიდვაც ეს გამოსყიდვა დაწესებული იყო მისთვის, რომ შეძლება მისცემოდა ზოგიერთს მოუფიქრებელად და გაუფრთხილებელად აღმოქმდნენ თავისი საქციელი გაესწორებინა და კიდევ მიტომ, რომ შეწირულთა შენახვა არ დამძიმებოდა კარავს, რომელიც მათ ასაზრდოვებდა. რადგანაც მამაკაცს უფრო მეტი მუშაობა შეეძლო, ამიტომ მის გამოსასყიდად დანიშნული ფასი თითქმის ორჯერ მეტი იყო, ვიდრე დედაკაცისა; ყმაწვილების გამოსასყიდი ფასი ნაკლები იყო ვაჟ აცებისაზე.

შეწირულ ცხოველთაგან არ შეიძლებოდა გამოსყიდვა წმიდა ცხოველების, ანუ იმათი, რომლებიც შეწირებოდა მსხვერპლად კანონის ძალით; შეიძლებოდა გამოსყიდვა მხოლოდ არა წმიდა ცხოველისა, რომელიც მსხვერპლად არ შეწირებოდა; გამომსყიდველი იხდიდა გარდა ცხოველის ფასისა კიდევ მეხუთეს ნაწილს ღირებულობისას. თუ კარვისთვის არ იყო საჭირო შეწირული სახლი, ცხოველი ან მინდორი, ან რაიმე სხვა საგანი, მაშინ, შეფასების შემდეგ, ყიდდნენ მას და ფული მიდიოდა კარვის სასარგებლოდ; აღკრძალული იყო შეწირვა პირმშოთა ცხოველთაგან, რადგანაც ისინი ისედაც ღმერთს ეკუთვნოდნენ.—ყოველი ებრაელი ვალდებული იყო შეეწირა ღვთისათვის მეთაფი ნაწილი თავისი ქონებისა, ხოლო თუ დახსნას მოისურვებდა, მაშინ უნდა ან ნაწილის ფასისთვის მიემატებინა კიდევ მეხუთედი ნაწილი მთელი ფასისა. (თ. 27).

რ ე დ ა მ ტ ი ი ს კ ა ს უ ხ ი .

დკ. ნ. ფრუიქს. დიდ სასწაულებას აწერთ ბალახს „ფეფერას“ მაგრამ იმდენი არაფერია. მაგ ბალახზე ბევრჯელ სწერდენ და დღეს აღარ ღირს ბეჭდვა. ყველა მხმარებელნი არ არიან მადრიელნი.

მრავალთა. საღმრთო სჯულის სასწავლო ისტორიის ბეჭდვას შეუდგით და მალე გამოვსცემთ.

კიდევ უცხადებთ, რომ ტიბიკონის სასწავლო წიგნი არც ჩვენ და აღარც მის გამოცემს არა აქვს გასასყიდელი.

საეკლესიო წიგნები კურთხევანი, პატარა ლოცვანი და დავითნი დიდი ხანია აღარ იმეორებთან გასასყიდად და როდის გამოიცემა ერთმა მხოლოდ ღმერთმა უწყის!..

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 15 აგვისტო 1908 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.